ხალგაზრდა ვერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

19 თებერვალი სამშაბათი 1991 № 20 (11653)

ფასი 10 კაპ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯილდო... „აქტივისტებს“

გუშინ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსთან გაიმართა მიტინგი, რომელიც მოაწყო უნივერსიტეტის სტუდენტურმა კავშირმა. მიტინგი მიეძღვნა 1989 წლის 18 თებერვალს მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა დარბეული მიტინგის ორი წლის თავს.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ მაშინდელი მიტინგი ეძღვნებოდა ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანად მოგვარებისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის ყოფნა-არყოფნის საკითხს. მიტინგი, მილიციის ნაწილების დახმარებით, სასტიკად დაარბიეს ინსტიტუტის ადმინისტრაციის მიერ წაქეზებულმა კომკავშირულმა აქტივისტებმა.

როგორც გუშინდელი მიტინგის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ორი წელი სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ სწორი შეფასება მისცემოდა ამ ბარბაროსულ აქტს და, რაც მთავარია, პასუხი ეგოთ მის სულისჩამდგმელებს (რომლებიც მაშინ კიდეც დაუჯილდოებიათ). მით უმეტეს, რომ 9 აპრილის კომისიამ, რომელიც 18 თებერვლის საკითხსაც სწავლობდა, ზუსტი შეფასება მისცა მომხდარს და პირობითი სასჯელებიც მოუხსნა დარბეულ და ნაცემ მიტინგის მონაწილეებს. მაგრამ, დასჯის ნაცვლად, იმ აქციის „გმირები“, უკლებლივ ყველა — კომკავშირული აქტივისტებიდან რექტორამდე, კვლავაც ლაღად გრძნობენ თავს. ბევრ მაშინდელ კომკავშირელს ახლა სტუდენტების აღზრდაც კი აბარია.

მიტინგის ორგანიზატორებმა წამოაყენეს სამი მოთხოვნა: 1. შეჩერდეს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს უფლებამოსილება. 2. გადადგეს რექტორი გოჩა ჩოგოვაძე. 3. შეიქმნას საარჩევნო კომისია, რომელიც დემოკრატიული წესით დაკომპლექტებს უნივერსიტეტის დიდ საბჭოს (ამ მოთხოვნებს წარუდგენენ განათლების სამინისტროსა და უზენაესი საბჭოს შესაბამის კომისიას).

სტუდენტური კავშირის პრეზიდენტმა მამუკა კაციტაძემ ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ ამ მოთხოვნების მიზეზი მხოლოდ 1989 წლის 18 თებერვალს მომხდარი ამბები არ არის და ჩამოთვალა მას შემდეგ მომხდარი არაერთი ფაქტი, რაც, მათი აზრით, საკმარისია, რათა რექტორმა და ბევრმა მისმა თანამოაზრემ დატოვოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

მიტინგის მსვლელობისას უნივერსიტეტის დოკუმენტმა რაულ კუპრავამ გააკეთა განცხადება, რომ გუშინ, დილის 4 საათზე შავნაბადაზე განლაგებულ ქართველ მაშველთა კორპუსს თავს დაესხნენ საბჭოთა არმიის ჯარისკაცები. არიან დაჭრილები და დაპატიმრებულები. საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრმა ირაკლი ქადაგიშვილმა შავნაბადაზე მომხდარი ფაქტისა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში ეთნოკონფლიქტების გაქანების მიზეზებს რომ შეეხო, პირდაპირ მიანიშნა რესპუბლიკის ახლანდელ ხელმძღვანელობაზე. ამან შეკრებილთა დიდი ნაწილის აღფოთება გამოიწვია და ლამის ჩაშალა მიტინგი. მაგრამ მიტინგის ორგანიზატორებმა შესძლეს აღშფოთებულთა დაშოშმინება და მიტინგის ძობრუნება მისი მთავარი მიზნისაკენ.

თუმცა, დასასრულს მიტინგს კიდევ ერთხელ გადაუარა აღშფოთების ტალღამ, როდესაც სტუდენტური კავშირის პრეზიდენტმა მამუკა კაციტაძემ გამოაცხადა, რომ, თურმე, მავასს, თავი სტუდენტური კომიტეტის თავმჯდომარედ, ვინმე ხმალაძედ რომ წარუდგენია, საქართველოს მთავრობისთვის შეუტყობინებია, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კომიტეტის წევრები მიტინგზე გამოვიდნენ რექტორის — გოჩა ჩოგოვაძის მხარდაჭერისა და საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გადადგომის მოთხოვნითო. ამ ცნობით აღშფოთებული სტუდენტების კოლონა დაიძრა მთავრობის სახლისაკენ.

გულნარა ბაშარული, რუსუდან ლეხანიძე.



პაატა არჩვაძის ფოტოები. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ახალგორის რაიონის პრეფექტად დანიშნა

აკაკი გიორგის ძე მათიაშვილი

ქრონიკა

საქართველოა ოესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით გაუქმდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 11 თებერვლის დადგენილება გივი ივანეს ძე ქენქაძის ახალგორის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

პედაგოგებს მხმარებენ კოლეგებს

სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის მთავარმა საკოორდინაციო საბჭომ, შრომისა და სწავლის ფრადოსანი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის დაწესა ქართველი განმანათლებლებისა და პედაგოგების სახელობითი სტიპენდიები.

საჩხერელ, მარნეულელ, ხულოელ, წყალტუბოელ, საგარეჯოელ, თბილისელ, ამბროლაურელ და საქართველოს სხვადასხვა რაიონის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს დაენიშნათ იაკობ გოგებაშვილის, კონსტანტინე გამსაურდიას, ძერაბ კოსტავას, ილია ვეკუას, ვახუშტი ბაგრატიონის, ნიკო მარის, იოსებ ოცხელისა და სხვათა სახელობის სტიპენდიები.

დაჯილდოებულთა შორის არიან მრავალშვილიანი ოჯახის მშობლები და შვილები, მარტოხელა, ქვრივი მასწავლებლები, მათ ვისაც საზოგადოების დახმარება და ყურადღება სჭირდებათ.

სახელობითი სტიპენდიის დანიშვნა გრძელდება. სსპს დკ მთავარი საკოორდინაციო საბჭო სთხოვს რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელებსა და პედაგოგიურ კოლექტივებს, სსპს დკ რეგიონალურ საკოორდინაციო საბჭოებთან შეთანხმებით წარმოგვიდგინონ ღირსეული კანდიდატები.

მთავარმა საკოორდინაციო საბჭომ, აღნიშნულის გარდა ათასობით მანეთის ერთდროული დახმარება გაუწია მრავალშვილიანი ოჯახების მოსწავლეებს, სამაჩაბლოში დაღუპულ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა შვილებს, მთიან და ქართველებით ნაკლებად დასახლებული რაიონების სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგებად წამსვლელ, ახალგაზრდა სპეციალისტებს ხელფასზე დანამატის სახით თვეში უნიშნავს 100-დან 200 მანეთამდე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, ხაბურთალის რაიონი, ანაგის ქ. № 20, 63-ე საშუალო სკოლა. სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის მთავარი საკოორ. დინაციო საბჭო. ელ.: 28-42-36.

ხევსურეთი უხმობს ხევსურებს!

შაბათს, 16 თებერვალს, თბილისში, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს საქტო დარბაზში ჩატარდა თბილისში მცხოვრები ხევსურების პირველი ოფიციალურ შეკრება. ამ შეკრების ინიციატორი იყო ხევსურეთის თემთა საბჭო. აღსანიშნავია, რომ ეს საბჭო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1990 წლის 5 სექტემბერს შეიქმნა, გატარდა რეგისტრაციაში, დამტკიცდა მისი წესდება.

ხევსურეთის თემთა საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი წიკლაურმა დაწვრილებით ილაპარაკა საქართველოს ამ ძირძველი კუთხის პრობლემებზე. აღნიშნა, რომ როცა უწინ მთა ეხმარებოდა ბარს, 50-იანი წლების გაუკუღმართებული პოლიტიკის წყალობით დღეს პირიქითაა; ხევსურეთს სასიცოცხლოდ სჭირდება როგორც მატერიალური, ისე მორალური დახმარება და თანადგომა. აუცილებელია ყველა ქართველმა, განსაკუთრებით კი ამ კუთხიდან სხვადა სხვა ქალაქებში თუ რაიონებში გადახვეწილმა შვილებმა დახმარების ხელი გაუწიონ ხევსურეთს.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდნენ ბატონები: ალეკსი ჭინჭარაული, კობა არაბული, უხუცესი დავით გოგოჭური და სხვები. აღსანიშნავია, რომ დასახულია საინტერესო ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან; სულ მალე კი კანადის ერთ-ერთი მსხვილი ფირმის პრეზიდენტიც ეწვევათ და გადაწყდება ურთიერთხელსაყრელი სასიკეთო ღონისძიებანი.

— როგორც კი შევიტყვე, რომ დღეს ხევსურთა შეკრება იმართებოდა, მაშინვე დედაქალაქში წამოვედი. — გვეუბნება თიანეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი ირაკლი ზვიადაური. — მართალია ამ შეკრებაზე მხოლოდ თბილისში მცხოვრები ხევსურები იყვნენ მოწვეულნი, მაგრამ პრობლემა ხომ ყველას ერთი გვაქვს! აგერ, მე ვხედავ, წითელწყაროს რაიონდანაც ჩამოსულან, დუშეთიდანაც, საგარეჯოდანაც... ასე იყო ოდითგან, ასე იქნება მომავალშიც, რამეთუ ხევსურეთი უხმობს ხევსურებს! ასეთი შეკრებები აუცილებელია კვლავ ჩატარდეს, სადაც აღინიშნება ყველა ჩვენგანის მიერ კონკრეტულად გაკეთებული საქმე...

...დაბოლოს, ყველამ, ვინც ვერ შეძლო ამ შეკრებაზე მოსვლა, შეუძლია თვის ბოლომდე ნებისმიერ დღეს, 12 საათიდან 21 საათამდე მიაკითხოს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ნუცუბიძის 127, კოოპერატივი „ელექტრონი-88“. ტელეფონი: 39-52-82. ხოლო მათ, ვისაც სურვილი აქვთ ფულით დაეხმარონ ხევსურეთის გადარჩენის საშვილიშვილო საქმეს, შეგახსენებთ ანგარიშის ნომრებს: ხევსურეთის თემთა საბჭო, „ივერთბანკი“, მრეწვმშენბანკის საოპერაციო სამმართველო: კოდი 521921, ანგარიში № 000161700.

საკუთარი ინფორმაცია.

ამ ინფორმაციის პირობარი გადაერიცხება ხევსურეთის თემთა საბჭოს ანგარიშზე.

დიალოგი მესამე

სპარხეთის ყურეში მიმდინარე საომარი მოქმედებანი, ჩვენი რეპუბლიკის მცხოვრებთაგან ვერავის დატოვებს გულგრილს. ალბათ, ცოტა ხანში ომში ახმელეთო ჯარებიც ჩაებმებიან და...

ამჯერად ჩვენს კორესპონდენტს ეხუბრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ციტოლოგიის, ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ეკოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი ბიბი თუმანიშვილი.

— ბატონო ბიბი, თქვენ როგორც ბიოლოგი და „მწვანეთა“ მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რა სახის საშიშროებას მოელინა სპარხეთის ყურეში გაჩაღებული ომისაგან. ცხადია, პირველ რიგში გვაინტერესებს, თუ არის საფრთხე ჩვენთვის, ჩვენი გარემო�isათვის?

— თუ საომარი ვითარება დრამატული, უკიდურესი ფორმით განვითარდა და რომელიმე მხარის მიერ გამოყენებული იქნა მასობრივი დაზიანების იარაღი, მაშინ თქვენს მიერ ნახმარი ნაცვალსახელი („ჩვენი“), ძალზე პირობითად გაიაზრდება და ათობით(!) სხვა მეზობელი ქვეყნის ბედიც გაურკვეველი, ბურუსით მოცული გახდება.

მოდით, ვიქონიოთ იმედი — ბირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური იარაღი ამ ომში გამოყენებული არ იქნება, თუმცა, ეს უფრო ჩემი სურვილია და არა ფაქტიური სიტუაციიდან გამომდინარე პროგნოზი. ყოველ შემთხვევაში, შასობრივი იარაღის გამოყენებიდან გამომდინარე საშიშროების ნაწილში, თქვენს შეკითხვას თავს ვარიდებ. ეს ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი — თუ გულწრფელი ვიქნები, ამ კითხვაზე ადრე არც მიფიქრია და სიმართლე გითხრათ, არცა ვარ მზად სპასუხოდ. ამასთან, სულაც არა ვგრძნობ თავს უხერხულად — ვერიფერი სახალისოა მკითხველთათვის იმის მოყოლა, რა საშიშროებაც მათ მოელით.

სიფრთხილეს თავი არ სტკივა

ჩვენ და ახლო აღმოსავლეთის მოვლენები

და მეორე — მზადაც რომ ვყოფილიყავი სპასუხოდ, არ ვარიგებდი ჩემი მოსაზრების წარმოჩენას. ბოლო ხანებში, ჩვენი ხალხი ხომ ისედაც დაძაბულია, ქრონიკული სტრესებით მოცული... ჩვენ კიდევ ბირთვული ომის მოლოდინილი გვაკლია?

მე თქვენს შეკითხვას ასე „დავავიწროვებდი“: რა სახის საშიშროება მოგველის სპარსეთის ყურედან, თუნდაც იქ მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენება აცილებული იქნეს?

თქვენ წარმოიდგინეთ, სანუგეშო და „თავი ქუდში რომ გვქონდეს“ ისეთი პერსპექტივა, არც მაშინ გველოდება. კერძოდ, მე მხოლოდ ერთ ნიუანსზე გავამახვილებდი ტეს გადაუმუშავებელი) არასრულად ოწვის. ნავთობის არახრულად წვისას კი წარმოიშვება მომშხამავი აირები, რომლებიც დიდი რაოდენობით განიბნევიან ატმოსფეროში და დიდ მანძილზე გადაადგილდებიან. ეს აირები ცოცხალი სამყაროსთვის ძალზე მავნე ნივთიერებებს შეიცავენ და ცწვევენ ადამიანთა ნერვიული სისტემის პარალიზებას...

— ბატონო ბიბი, ეგ არის — „ხალხი ისედაც დაძაბულია, ქრონიკული სტრესებით მოცულიო?“.

— კი, მაგრამ... უფრო მნიშვნელოვანი საშინელებანი ხომ ჯერ არ მითქვამს...

—აღარ შეწუხდეთ, ხულერთია არ ჩავიწერო! თუმცა, მეც რამ შემაშინა — ხომ არხებობს აირწინაღი?

— საბჭოთა წარმოების აირწინაღის იმედით თქვენი მტერი იყოს... თანაც რას უპირებთ ცხოველთა სამყაროს—ფრინველს, ოთხფეხს, თევზს, მწერს... მცენარეულ საფარს... განა იმ ხიდან მოგლეჯილი ვაშლი ივარგებს, რომელსაც ეს მომშხამავი აირი გადაუვლის?

— ხომ შეიძლება ეს წყეული აირები ქარებმა სულ სხვა მიმართულებით გადარეკონ?

— თქვენ რა გგონიათ, ნავთობის მასობრივი ხანძრები ერთი-ორი კვირის მანძილზე ჩაქრება? ან ვინმე ჩააქრობს? ლიტერატურაში აღწერილია შემთხვევები, როცა თვეების მანძილზე ჭირს ხოლმე ცეცხლის ჩაქრობა... საეჭვოა, ამ ხნის მანძილზე ქარებმა ერთი ორჯერ მაინც არ წამოუბერონ ჩვენი მიმართულებით. თუმცა, მე მეტეოროლოგების კომპეტენციაში შეჭრას არ ვაპირებ...

— ბატონო ბიბი, რაიმე ხურვილს ან წინადადებას ხომ არ გამოთქვამდით?

— ათეულობით წლის მანძილზე, ჩვენში ხდებოდა რეალური ეკოლოგიური სურათის დამახინჯება. ადგილი ჰქონდა ძირეული სასიცოცხლო მახასიათებლების მონაცემების მიჩქმალვას. ხალხმა არ იცოდა, რას ჭამდა, რას სვამდა, რით სუნთქავდა... ჩვენ ხომ, სულ რაღაც ბოლო წლებში „აღმოვაჩინეთ“, რომ ბევრი ფაბრიკა-ქარხანა, გამწმენდი ნაგებობანი ცუდად მუშაობდა (თუკი საერთოდ გააჩნდა), რომ ავტომანქანებისაგან მავნე გამონაბოლქვის კონცენტრაცია ატმოსფეროში ყოველგვარ ნორმას აღემატება, რომ თბილისი გაბინძურების ხარისხით მსოფლიოში...

— ეხე იგი ყველაფერს ჰუსეინს ვერ დავაბრალებთ?

— ცხადია. პირველ რიგში ჩვენს „ჰუსეინებს“ უნდა ვებრძოლოთ, რომლებიც ბუნებას შესაძლებლობისამებრ არანაკლები ბარბაროსობით ეპყრობიან. საქართველოს ეკოლოგიური სიწმინდე ყოველი ჩვენგანის მიზანი უნდა გახდეს.

ეხუბრა ბელა ბარაბანიძე.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტისა და დარბაზის

განცხადება

1991 წლის 21 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში, დილის 10 საათზე ფილარმონიის დიდ დარბაზში, მუშაობას იწყებს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მესამე კონგრესი. კონგრესის მუშაობა გაგრძელდება ორი დღე. კონგრესზე დასწრება სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისთვის. რეგისტრაცია დაიწყება დილის 9 საათიდან.

თბილისის, მცხეთის, ახალგორის, ლამისყანის, გორის, ხაშურის, ბორჯომის, რუსთავის, თეთრი წყაროს, გარდაბნის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, წითელწყაროს, სიღნაღის, ლაგოდეხის, ქუთაისის, წყალტუბოს, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, მარტვილის, ზუგდიდის, ჯვრის, გალის, სოხუმის, ფოთის, ბათუმის, ქობულეთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებს ეკალებათ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მესამე კონგრესზე წარმოადგინონ სრული სიები თავის რიგებში გაერთიანებული წევრების, კანდიდატებისა და მოკავშირეებისა.

რეკლამა

საქველმოქმედო ასოციაცია „აღდგომასთან“ არსებული ენების დაჩქარებული სწავლების ცენტრი იწყებს მსურველებს ენების დაჩქარებული შეთოდით შესასწავლად 3, 6 და 9-თვიან კურსებზე (გადასახადი შესაბამისად 300, 600 და 900 მან.).

მსმენელი დაეუფლება 3000-დან 6000-მდე სიტყვას, ამავე დროს საშუალება მეცეცეში დაეუფლოს თარგმნის ტექნიკას და წაიკითხოს მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურა ორიგინალში.

შეისწავლება: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, ბერძნული და ქართული ენები.

ანგარიშსწორება იწარმოებს როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით.

ინვალიდებისათვის, ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახებიდან გამოსული ბავშვებისათვის სწავლა იწარმოებს შეღავათიან ფასებში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 62-72-33 (10-დან 18 საათამდე), ან 95-41-83 (16-დან 20 საათამდე).

მისამართი: თბილისი, კიევის ქ. № 8.

ენების დაჩქარებული სწავლების ცენტრის ადმინისტრაცია.

პოლიტიკურ ბლოკ „თავისუფლების“ დამფუძნებელი კონფერენციის

რეზოლუცია

1991 წლის 9 თებერვალს თბილისში შედგა პოლიტიკური ბლოკ „თავისუფლების“ დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენციამ განიხილა საქართველოში უზენაესი საბჭოს არჩევნების შემდგომ შექმნილი ვითარება, ამბჯელა ბლოკ „თავისუფლების“ ამოცანებზე, განიხილა და დაამტკიცა მისი წესდება, მიიღო რეზოლუცია „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნებისადმი დამოკიდებულების შესახებ“.

პოლიტიკურ ბლოკ „თავისუფლებაში“ გაერთიანდნენ: ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, „დის“-ის პოლიტიკური კავშირი, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა კავშირი, საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნებისადმი დამოკიდებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 29 იანვარს მიღებულ კანონში „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ უკიდურესადაა შეზღუდული სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოების უფლებამოსილება. ისინი, ფაქტობრივად, ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენენ ფართო უფლებების მქონე სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების — პრეფექტისა და პრეფექტურის საქმიანობაზე და რეალურად მათ თითქმის უფუნქციო დანამატს წარმოადგენენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვერ ხედავს რა სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოების სადეპუტატო მანდატებისათვის ბრძოლის საჭიროებას, ბლოკი „თავისუფლება“ არ მონაწილეობს 1991 წლის 31 მარტს დანიშნულ არჩევნებში.

ამასთან ერთად ბლოკი „თავისუფლება“ უზენაეს საბჭოში შემავალ პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ პრეფექტებად უზენაესი საბჭოს წევრების დანიშვნა ეწინააღმდეგება მათ მიერვე არა ერთხელ დეკლარირებულ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დაყოფა-გამიჯვნის საყოველთაოდ მიღებულ დემოკრატიულ პრინციპს.

ჩავიწერ! თუმცა, მეც რამ შემაშინა — ხომ არხებობს აირწინაღი?

— საბჭოთა წარმოების აირწინაღის იმედით თქვენი მტერი იყოს... თანაც რას უპირებთ ცხოველთა სამყაროს—ფრინველს, ოთხფეხს, თევზს, მწერს... მცენარეულ საფარს... განა იმ ხიდან მოგლეჯილი ვაშლი ივარგებს, რომელსაც ეს მომშხამავი აირი გადაუვლის?

— ხომ შეიძლება ეს წყეული აირები ქარებმა სულ სხვა მიმართულებით გადარეკონ?

— თქვენ რა გგონიათ, ნავთობის მასობრივი ხანძრები ერთი-ორი კვირის მანძილზე ჩაქრება? ან ვინმე ჩააქრობს? ლიტერატურაში აღწერილია შემთხვევები, როცა თვეების მანძილზე ჭირს ხოლმე ცეცხლის ჩაქრობა... საეჭვოა, ამ ხნის მანძილზე ქარებმა ერთი ორჯერ მაინც არ წამოუბერონ ჩვენი მიმართულებით. თუმცა, მე მეტეოროლოგების კომპეტენციაში შეჭრას არ ვაპირებ...

— ბატონო ბიბი, რაიმე ხურვილს ან წინადადებას ხომ არ გამოთქვამდით?

— ათეულობით წლის მანძილზე, ჩვენში ხდებოდა რეალური ეკოლოგიური სურათის დამახინჯება. ადგილი ჰქონდა ძირეული სასიცოცხლო მახასიათებლების მონაცემების მიჩქმალვას. ხალხმა არ იცოდა, რას ჭამდა, რას სვამდა, რით სუნთქავდა... ჩვენ ხომ, სულ რაღაც ბოლო წლებში „აღმოვაჩინეთ“, რომ ბევრი ფაბრიკა-ქარხანა, გამწმენდი ნაგებობანი ცუდად მუშაობდა (თუკი საერთოდ გააჩნდა), რომ ავტომანქანებისაგან მავნე გამონაბოლქვის კონცენტრაცია ატმოსფეროში ყოველგვარ ნორმას აღემატება, რომ თბილისი გაბინძურების ხარისხით მსოფლიოში...

— ეხე იგი ყველაფერს ჰუსეინს ვერ დავაბრალებთ?

— ცხადია. პირველ რიგში ჩვენს „ჰუსეინებს“ უნდა ვებრძოლოთ, რომლებიც ბუნებას შესაძლებლობისამებრ არანაკლები ბარბაროსობით ეპყრობიან. საქართველოს ეკოლოგიური სიწმინდე ყოველი ჩვენგანის მიზანი უნდა გახდეს.

ეხუბრა ბელა ბარაბანიძე.

სხვა გაზეთებიდან

რეფერენდუმი თუ პოლიტიკურ მანიპულაციათა ინსტრუმენტი

გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ (№ 5, 1991 წ.) თხოვნით, სსრკ უმაღლესი საბჭოს 15 იანვრის დადგენილებას იმის თაობაზე, რომ 17 მარტს ჩაატარეს რეფერენდუმი სსრკ შენარჩუნების შესახებ, კომენტარი გაუკეთა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის სექტორის გამგემ რეინ მიულერსონმა. მან, მთლიანობაში, უარყოფითად შეაფასა რა ეს დოკუმენტი, კონკრეტულად აღნიშნა: „რეფერენდუმი, შემოთავაზებული სახით, ხელს არ შეუწყობს სუვერენულ სახელმწიფოთა გაერთიანებას; იგი უმალ პოლიტიკურ მანიპულაციათა ინსტრუმენტი იქნება. კონსოლიდაციის ნაცვლად მას შეუძლია უფრო მეტად გახლიჩოს საზოგადოება“.

პოდპოლკოვნიკი უარყოფს და აღასტურებს

სსრკ თავდაცვის სამინისტროს პრეს-ბიუროს მრისხანედ შეუტია იმ გამოცემებს, რომლებმაც, ვითომდა, „ყალბი ხმები გაავრცელეს ომის თაობაზე, რომ საბჭოთა არმიის ზოგიერთმა ოფიცერმა უარი განაცხადა ვილნიუსის დამსჯელ ოპერაციებში მონაწილეობაზე. პროგრამა „ვრემიაში“ წაიკითხეს პრეს-ბიუროს ოფიციალური განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. ის კი არადა, პოდპოლკოვნიკი ტარხანოვი, რომელიც, ვითომდა, ბრძანებას არ დაემორჩილა, სინამდვილეში არ არსებობსო.

მეორე დღეს ლიტვის პარლამენტში სიტყვით გამოვიდა... პოდპოლკოვნიკი ტარხანოვი, რომელმაც უარყო პრეს-ბიუროს განცხადება და დაადასტურა, რომ ნამდვილად განაცხადა უარი ტელეცენტრის შტურმში მონაწილეობაზე.

„მეგლოკ, თუ ვაძკაცი ხარ, გამოდი!“

„ხელები შორს ჰუსეინისაგან!“ — მოითხოვენ „პამიატის“ დროშის ქვეშ გაერთიანებულნი, რომლებიც მოსკოვში ხშირად აწყობენ ჰუსეინის დასაცავ დემონსტრაციებს. ამ დემონსტრაციებზე სულ სამასამდე კაცი თუ გროვდება. ერთ დღეს ისინი შეჩერდნენ ამერიკის ელჩის რეზიდენციასთან და გაჰკიოდნენ: „მეტლოკ, თუ ვაძკაცი ხარ, გამოდი!“

პავლოვი ბოდიშს იხდის

პირველ რიგში მინდა ბოდიში მოვუხადო ყველას, ვინც ლამეები გაატარა რიგებში, განაცხადა ახლახან სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ს. პავლოვმა, ვიცი, დაუდევრობაც ბევრი იყო და პირდაპირი ხელის შეშლაც. მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა, ფინანსური კატასტროფა უსწრაფესად იზრდებოდა და ფულის შეცვლაც კონფისკაციურ კი არა, აღმკვეთ ხასიათს ატარებდაო.

საკითხავია, ნეტავ რა აღკვეთა და, რაც მთავარია, კიდევ რის აღკვეთას აპირებდა ბატონი პავლოვი?

რა ღირს სობჩაკის უსაფრთხოება?

10 ათასი მანეთი. ყოველი შემოხვევისათვის სწორედ ამ თანხის გადახდა გადაწყვიტეს ლენინგრადის მერის ანატოლი სობჩაკის ჯანმრთელობის დასაზღვევად ახალი ფირმის „ასტროვაზის“ მესვეურებმა, ვისთვისაც ცნობილი გახდა, რომ სობჩაკსა და მისი ოჯახის წევრებს ემუქრებიან.

გაგარინიც ვერ გადარჩა

როგორც ირკვევა, მსოფლიოს პირველი კოსმონავტის გაგარინის ხსოვნაც ვერ გადაურჩა ხელყოფას. როგორც „მეგაპოლის-ექსპრესი“ (№ 5, 1991 წ.) იუწყება, ნიკონ ლომოვში გაგარინის სახელობის სკვერიდან გაქრა მისი სპილენძის ბიუსტი, რომელიც მანამდე არაერთხელ ჩამოაგდეს.

ქალაქის ხელმძღვანელობის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაირკვა, რომ ბიუსტი კი არ დაკარგულა, კომუნალური სამსახურის მესვეურებს მოუხსნიათ, რათა ცოტათი მაინც გაესწორებინათ დედამიწაზე ხშირი „დაშვების“ გამო შეპეპყილი ადგილები.

კომენტარები

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ 1991 წლის 14 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს მიმართვაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსადმი

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველო გულდასმით გაეცნო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს მიმართვის ტექსტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსადმი. ვინაიდან ამ დოკუმენტში მოცემული სამხედრო პირების მიმართ ქ. თბილისში ჩადენილ დანაშაულობათა ფაქტებიც, საჭიროა წერილის ავტორებს მივცეთ შემდეგი განმარტება:

მტკიცება იმისა, თითქოს შინაგან საქმეთა ორგანოები არ ღებულობენ ზომებს სამხედრო მოსამსახურეთა წინააღმდეგ არასამართლებრივ მოქმედებათა აღსაკვეთად სამხედრო ნაწილებიდან გატაცებული იარაღის, საბრძოლო მასალის, საბრძოლო და საავტომობილო ტექნიკის დასაბრუნებლად, სინამდვილეს არ შეეფერება.

შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებებს, საპატრულო-საგუშაგო ლეგიონისა და სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებს დაევალათ ქალაქის ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პატრულირების დროს სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ ყოველგვარი ხელყოფის გამოვლენა და აღკვეთა. თუმცა უნდა ითქვას, რომ დედაქალაქის მოქალაქეთა უმრავლესობა ასეთ პროვოკაციაზე არ წავა.

ამის დასტურია ის, რომ ქ. თბილისში სამოქალაქო პირების მხრიდან არც გასულ და არც მიმდინარე წელს არ მომხდარა სამხედრო ობიექტებსა თუ სამხედროებზე შეიარაღებული თავდასხმა. შეიძლება წერილის ავტორებს მხედველობაში აქვთ თბილისის საარტილერიო სასწავლებლიდან იარაღის გატაცება, მაგრამ ეს ხომ ისევ სამხედრო პირებმა, იქაურმა კურსანტებმა. ჩაიდინეს. რაც შეეხება მოსახლეობისაგან იარაღის ჩამორთმევას, ამ ღონისძიებებს შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის დღის წესრიგში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია, სისტემატურად ტარდება რეიდები როგორც იარაღის ჩამორთმევის, ასევე სხვა დანაშაულის გამოვლენა-აღკვეთის მიზნით. მარტო 1990 წელს იარაღის უკანონო შენახვისა და ტარებისათვის ქ. თბილისში აღიძრა 140-მდე სისხლის სამართლის საქმე, რაც 60 პროცენტით აღემატება 1989 წლის მონაცემებს. ასეთი ტენდენცია მიმდინარე წელსაც იგრძნობა. ეს კატეგორიულადაა განსაზღვრული საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 დეკემბრის ცნობილი დადგენილებითაც. სამხედრო უწყებების ავტომანქანათა გატაცებაზე კი მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დედაქალაქის შინაგან საქმეთა რაიონულ ორგანოებში აღძრულია სისხლის სამართლის შვიდი საქმე და მიმდინარეობს ძებნა-ძიება. ავტომანქანები ძალადობის გამოყენებით იქნა გატაცებული, მაგრამ არ იყო გამორიცხული თვით სამხედრო პირების მხრიდან ავტომანქანის უყურადღებოდ მიტოვების შემთხვევაც. რამდენიმე ავტომანქანა გატაცებულია სწორედ მათ მფლობელთა უყურადღებობის და გატაცების საწინააღმდეგო მოწყობილობის უქონლობის შედეგად, ტრანსპორტის სიგნალიზაციით აღჭურვას კი, გულახდილად უნდა ითქვას, ბევრი არიდებს თავს, მათ შორის სამხედრო უწყებებიც.

შინაგან საქმეთა ორგანოები, განურჩევლად დაზარალებული პიროვნების თუ ორგანიზაციისა, მათ შორის სამხედრო უწყებებისა, ცდილობენ სწორი რეაგირება მოახდინონ შეტყობინებებზე. ავიღოთ თუნდაც კრწანისის რაიონში, ავლევის ქუჩიდან იქ მცხოვრებ სამხედრო მოსამსახურის ვ. ვ. ფიოდოროვის ავტომანქანა ვაზ-2108-ის გატაცება. ამ რაიონის მილიციის მუშაკებმა ყველაფერი იღონეს და „ცხელ კვალზე“ დააკავეს გამტაცებლები, ხოლო ავტომანქანა უვნებლად დაუბრუნდა მფლობელს. ან კიდევ მიმდინარე წლის იანვარში მომხდარი ფაქტი, როცა გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ „უაზიდან“ ორმა ბოროტმოქმედმა ჩამოსვა მძღოლი და მანქანა გაიტაცა. მთაწმინდის მილიციამ 5-6 წუთში მიაკვლია მათ და დააკავა.

მიუღებელია წერილში გამოთქმული აღშფოთება, თითქოსდა მთაწმინდის მილიციამ 5-6 წუთში მიაკვლია მათ და დააკავა. ეს ფაქტი, მაგრამ ასეთი რეზონანსული დანაშაულის შესახებ ინფორმაცია უპირატესად მილიციისათვის უნდა მიეწოდებინათ. ტერიტორიული, ე. ი. მთაწმინდის (ამ რაიონში ცხოვრობს სარდალი) შინაგან საქმეთა განყოფილების გვერდის ავლით რეაგირება სამართლებრივად არაა სწორი. ამიტომ ეს ფაქტი (თუ იგი სინამდვილეში მოხდა, ვინაიდან სარდლის ბინას იცავენ ჯარისკაცები, იქვე ახლოს პატრულირებს მილიციის ეკიპაჟი) ჩვენი რეაგირების გარეშე დარჩა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად უსაფუძვლოდ ვთვლით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს შეშფოთებას, თითქოს ქართველი ხალხი დაინტერესებულია სამხედრო მოსამსახურეთა შევიწროებით და მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ჭონების ხელყოფით. რეალობა სულ სხვას მეტყველებს. კრიმინალურ სიტუაციაში შეიძლება მოხვდეს ნებისმიერი ადამიანი.

სხვა საკითხია ამ დღეებში პოლიტიკური ოპოზიციის მიერ სამხედრო ნაწილებთან და მათ შორის სამხედრო ოლქის შტაბთან განზრახული აქციით შეშფოთება. რომელსაც დედაქალაქის მილიციაც იზიარებს.

ბრიგოლ შონია,
ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი.

რედაქციისაგან: ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში სამხედრო პირთა მიმართ ცალკეული არასამართლებრივი ფაქტები წმინდა კრიმინალური ხასიათისაა და არაფერი საერთო არა აქვს მათ წინააღმდეგ სპეციალურად ორგანიზებულ აქციასთან. მით უმეტეს, რომ სამხედროების ხელყოფის ნებისმიერი ცდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ არაერთხელ შეფასდა პროვოკაციად, მთელი ქართველი ერის ღალატად. ამასთან, უნდა ითქვას, რომ გარეშე ძალთა მიერ ორგანიზებული ასეთი პროვოკაციებისაგან, სამწუხაროდ, არც ერთი მხარე არაა დაზღვეული.

ამდენად, კონკრეტული კრიმინალური ფაქტებისაგან, რომელთაგან, როგორც ნახეთ, ბევრი არც დასტურდება, „დიდი პოლიტიკის“ კეთება ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული.

„ჯიჰადი“ მოსალოდნელია

„...ის, რაც ახლა ხდება, ურჯულოებთან ბრძოლაა“ — ასეთ შეფასება მისცა სადამ ჰუსეინმა ომს სპარსეთის ყურეში.

ამ სიტყვების აზრი მხოლოდ მაშინ იქნება ნათელი, თუ გავითვითცნობიერებთ, საერთოდ რას ნიშნავს ისლამის მიმდევრისათვის „ურჯულოებთან ბრძოლა“.

ყურადღება მივაქციოთ, რა გაცხოველებით ცდილობს სადამ ჰუსეინი ისრაელის „დაყოლიებას“ ამ ომში. ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნის შუა ხანებში ომარ ხალიფამ, არაბთა სახალიფატოს მმართველმა, წარმოთქვა ისტორიული ფრაზა — „მუსლიმანები შეპამენ დანარჩენ ხალხებს“. ამ ფრაზას მოსდევს არაბთა სახალიფატოს „საღვთო ომი“, რომლის შედეგად დაპყრობილი იქნა სირია, პალესტინა, მესოპოტამია, სომხეთი, ხოლო 642 წლიდან ისლამმა საქართველოსკენაც „გადმოიხედა“.

თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ ერაყი ებრძვის თითქმის მთელს მსოფლიოს. ე. ი. „დანარჩენ ხალხებს“ და, რაც მთავარია, ამ ბრძოლაში თანდათანობით „ითრევს“ სხვა მუსლიმანურ ქვეყნებსაც. სადამ ჰუსეინისა და ომარ ხალიფას განსჯის საგანი უპირველესად იყო და არის ისრაელი — „დანარჩენი ხალხის“ რელიგიის ფუძემდებელი ტერიტორია. ეს მოულოდნელი არცაა, უფრო სწორედ, ვინც იცნობს ისლამის პრინციპებს, ადვილად მიხვდება, რომ ახლანდელი ომი, ძირეულად რელიგიის „ყიბილს“ წარმოადგენს.

მოკლედ ისლამის შესახებ. მეშვიდე საუკუნის მატიანეში მოხსენიებულია კურაიშთა ტომისა და ბანუჰაშიმის გვარის წარმომადგენელი, არაბი ვაჰარი მაჰმადი. მართალია, ბანუჰაშიმები გავლენიან გვარს წარმოადგენდნენ, მაგრამ მეშვიდე საუკუნის დასაწყისისათვის გვარი გაღატაკებული აღმოჩნდა. ვაჰარი ბევრს მოგზაურობდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მაჰმადის მოგზაურობა არაბეთის საზღვრებს იქით, სადაც იგი გაეცნო იუდეიზმს, ქრისტიანული და მითიური წინასწარმეტყველის ზარატუსტრას მიერ შექმნილ დუალისტურ ძველ ირანულ რელიგიას ზოროასტრიზმს, ამავე დროს მაჰმადი დაქორწინდა. მისთვის ეს შეუღლება მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მის მოღვაწეობას რელიგიურ-ეთიკურ საქმიანობაში. ამ რელიგიის თანახმად, მთავარანგელოზმა ჯიბრაილმა მაჰმადს წაიკითხა წიგნი „ყურანი“ უკარნახა, ამასთან, დაავალა ეს წიგნი ხალხისთვის გაეცნო. მომხრეები რომ შემოიკრიბა, იგი შეუდგა „ყურანის“ ხალხთან „მიტანას“, მაგრამ ხელისუფალთაგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, რის გამოც იძულებული შეიქმნა იასრიბში გადაბარგებულიყო. იასრიბში მომძლავრების შემდეგ, 630 წელს დაიმორჩილა მეკა, შემდეგ არაბეთის სხვა რაიონები. თავისი ძალაუფლების გავრცელების შემდეგ მაჰმადი გახდა მის მიერვე შექმნილი პირველი ისლამური თეოკრატიული სახელმწიფოს მეთაური. ამრიგად, წარმოიქმნა ისლამი, რაც მორჩილებას ნიშნავს, ხოლო ამ რელიგიის მომხრეებს მუსლიმანები (მორჩილები) ეწოდა. მუსლიმანის მიერ რწმენის აღიარება დასტურდება ფრაზით „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა და მაჰმადია მოციქული მისი“.

ისლამმა ხელი შეუწყო არაბეთის პოლიტიკურ მოლიანობას, რის შედეგადაც წარმოიქმნა არაბთა სახალიფატო. ისლამის სახელით მიმდინარეობდა დაპყრობითი ომები, ქვეყნების ისლამიზაცია. ამ პროცესის შედეგად ისლამის მფარველობაში მოექცა ირანიც, ასე და ამრიგად, ისლამი მძლავრ რელიგიად გადაიქცა. X-XI საუკუნეში ისლამი წარმოადგენდა რთულ სისტემას, თავისი ფილოსოფიურ-რელიგიური საფუძვლებით. როგორც ვთქვი, „ყურანი“ წარმოადგენს ისლამის ძირითადი პრინციპების, დოგმებისა და დებულებების წიგნს, რომლის თანაბარი მნიშვნელობის ყოველდღიურ ცხოვრებაში გახდა სუნა. ხოლო მაჰმადის მიერ „ზეშთაგონებისა და აღტყინების“ დროს წარმოთქმული ქადაგებები, ადამიანისთვის გასაგებ ენაზე ამეტყველებული „ალაჰის სიტყვებია“.

„ყურანი“ შეიცავს ორ ნაწილს: იმანს (რწმენას ისლამის ჭეშმარიტებისა) და დინს — რელიგიურ პრაქტიკას, რომელიც თავის მხრივ ემყარება ხუთ საფუძველს რწმენისა: შაჰადას (მუსლიმანის) მიერ რწმენის აღიარებას; მონოთეიზმს, რომლის მიხედვით ისლამი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ალაჰის ყოვლისშემძლეობას, ამავე „საფუძველის“ მიხედვით ალაჰი არის ერთადერთი, მარადიული, აბსოლუტური ჭეშმარიტება, სიცოცხლის მინიჭებელი, რომელიც არა მარტო კარგს, არამედ ცოდვილსაც სამოთხეს ჰპირდება, ხოლო ჯოჯოხეთი „ურჯულოებისთვის“ (არამუსლიმანებისათვის) გაუმეტებია; მუსლიმანი ლოცულობს ყოველდღიურად ხუთჯერ, რაც თუმცა მკაცრად განსაზღვრული რიტუალით მიმდინარეობს, რომლის დარღვევაც არ შეიძლება; გარდა ამისა მუსლიმანი იხდის ზაქათს (გადასახადს).

მოხდა ისე, რომ ისლამი თავიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა პოლიტიკას, თუმცა ეს ტენდენცია თანდათან შესუსტდა, ამასთან, ერთიანი საეკლესიო ორგანიზაციის არ არსებობამ გამოიწვია ავტონომისტური და სეპარატისტული ტენდენციების განვითარება, წარმოიქმნა სხვადასხვა სექტები — შიიტები, ხარიჯიტები, ისლამიტები და ა. შ. რომელთა შორის დაიწყო ბრძოლები. ყოველივე ამან დაარღვია ერთიანი მუსლიმანური სახელმწიფო. თუმცა ყველა მუსლიმანის იდეალი პოლიტიკურად ერთიანი მუსლიმანური სახელმწიფოა. ხოლო ამის განმხორციელებელს „ალაჰის ლოცვა და დიდება“ ელოდება. ამ დიდებისკენ რწმენისა თუ რწმენის ნიღბის გამო სადამ ჰუსეინიც მიისწრაფვის.

ბრძოლა „ურჯულოების“ წინააღმდეგ „ყურანის“ ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, ჯიჰადი (ბრძოლა სარწმუნოებისათვის) მუსლიმანის ერთ-ერთი, მე ვიტყოდი, უპირველესი მოვალეობაა. ამაზე მეტყველებს „ყურანის“ IX სურა, 29 ლექსი. ჯიჰადის შესახებ მოძღვრება შეიმუშავა მუსლიმანურმა სამართალმა, რომლის მიხედვით დედამიწა იყოფა ორ ნაწილად: დარ-ალ-ისლამად და დარ-ალ-ჰარბად, ანუ ისლამის მიწად, სადაც განსახლებულნი არიან ისლამის მიმდევრები და საომარ მიწად, სადაც ვცხოვრობთ ჩვენ და ჩვენისთანა „ურჯულოები“, ანუ არამუსლიმანები.

სწორედ ამ საომარი მიწისკენ, მისი დაპყრობისკენ მოუწოდებს ჯიჰადი „რჯულიანებს“. ასეთ „საღვთო ომში“ მონაწილეობის მიღება ყველა ბრძოლისუნარიანი მუსლიმანის მოვალეობაა.

მაშ, რატომ უნდა ვვიკვირდეს სადამ ჰუსეინის მოქმედება, იგი ხომ იმას აკეთებს, რასაც „ალაჰი“ „ეუბნება“, ამასთან ჰუსეინს კარგად მოეხსენება — ჯიჰადი, ანუ „საღვთო ომი“ ერთადერთი შეელაა, როგორც ერაყისთვის, ასევე საკუთარი თავისათვის. სწორედ აქეთაა მიმართული მთელი ენერგია, ამავე მიზნით იბომბება ისრაელი, რომელიც ჯიჰადის წამოწყების უპირველეს მიზეზს წარმოადგენს. თუ, რა თქმა უნდა, ისრაელი აჰყვება ჰუსეინის პროვოკაციულ ქმედებას. მის ყოველ ფრაზას უკვე ისლამის „სუნი“ დაჰკრავს, რომელმაც შეიძლება „აღაგზნოს“ ამავე სარწმუნოების მიმდევარი სხვა ქვეყნები. ამას კი დიდი ხოცვა-ულტა მოჰყვება, ვინაიდან „ყურანის“ თანახმად მუსლიმანი, რომელიც „ურჯულოებთან“ ბრძოლას აწარმოებს, ვალდებულია ბოლომდე იბრძოლოს, რადგან ბრძოლიდან გამოსვლა მას „ალაჰის წყევლასა და კრულვას“ უქადნის, რასაც ნაღდი მუსლიმანები ძალზე ერიდებიან. ამასთან სადამ ჰუსეინი იქნება ის კატალიზატორი, რომელიც დიდი ხნით „გაჩუმებულ“ ისლამურ ცნობიერებას აამოძრავებს და მას ჯიჰადის მოძღვრების თანახმად წარმართავს. ჰუსეინი ომის დასაწყისში შეიძლება არც ფიქრობდა „ყურანის“ ძირითადი პრინციპების ასრულებას, მაგრამ ამჯერად თავისი მოქმედებით, რაც გამოიხატება ერთი შეხედვით ფანატიკური, არარეალური და კაცობრობისათვის მიუღებელი ფორმებით, ცდილობს „დიდების“ სახელი დაიმკვიდროს მუსლიმანურ სამყაროში. სადამ ჰუსეინს ორი არჩევანი აქვს — ბრძოლის ბოლომდე გაგრძელება, რის შედეგადაც, დამარცხების მიუხედავად ელის დიდება და „ალაჰის ლოცვა“; ან ბრძოლიდან გამოსვლა, ე. ი. „ალაჰის წყევლა“ და მუსლიმანების მიერ მისი გაქრობა. მერწმუნეთ, სადამ ჰუსეინი პირველი არჩევანის გაკეთებას შეეცდება.

ბელა კოტაეშვილი,
ასოციაცია „ამაღლების“ თავმჯდომარე.

ბენიკა სეიფანიანი

მამის საქმის ანდერძების გამგრძელებელი

ქართველი ლიტერატურის კლასიკოსის, ჩვენს სიხამდილეზე ბევრი საოცარი რამნაირ ფანრის ფეიმმდელის, ფეორალიკადემიკოსის ეფსმენტრენე გამსაბერელიან ნენი ქორნაძეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ბატონმა ბეთუნელმა, თუ ხატეკაანიდელი მოგიტანა ჩვენებური წლის წინათ, 1973 წლის 16 მაისს სიმღერში დაბეკალილი ნარკვევის ტეტაზე, რომლისაც გამოიწვევენ ბეჭედი ბეჭედი ამერიკის ეკლეკ ოჯალოდ.

ჯერ ქეთანში სწორედაა, შემდეგ ანინანგბერეში, მიეხნისა და ბერლინში მიიღო გასთელა ბიბლიოლოგიე ქართველ ლეტერატურულ ბრეზენეკიელ ბრეზენეკიელ, ოფსოფიელ ბრეზენეკიელ ეფენენ, ბრეზენეკიელ ბრეზენეკიელ ეფენენ, ბრეზენეკიელ ბრეზენეკიელ ეფენენ, ბრეზენეკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისთვის რეგალია ხელისუფლების ისტორია

ჩვენები მოვიდნენ? ანუ 25 თებერვალი გათენდება ხვალ

საოცარი ხალხი ვართ ქართველები, ზოგჯერ ისეთი გულუბრყვილონიც, რომ აშკარად დაუჯერებელსაც კი შესაძლებლად მივიჩნევთ. თავად განსაჯეთ: ხალხური სიმღერა გვაქვს ერთი, რომელშიც ასეთი სტრიქონია: „იანვარშიც შეიძლება გაგვითენდეს ვაზაფხული“. ჩვენ ვისმენთ (ვმღერით) ამას და მართლა გვგონია, რომ ასეც შეიძლება მოხდეს.

ერთი პერიოდი ლამის იმაშიც დაგვაჯერეს, მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო, ხოლო თებერვალი რომ საქართველოს გაზაფხული იყო, ამაში თითქმის აღარავის გვეპარებოდა ეჭვი. ორი ათეული წლის განმავლობაში ჩვენს ბავშვებს სკოლაშივე ვაჩვენებრენებდით: „25 თებერვალი გათენდება ზვალ, თებერვალო საქართველოს გაზაფხული ხარ!“ (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს ლექსი მიმდინარე წელს ამოიღეს სასკოლო სახელმძღვანელოდან).

25 თებერვალი ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეა. საქართველოში კომუნისტური მმართველობის თითქმის შვიდი ათწლეულის მანძილზე ეს თარიღი ხარ-ზეიმით აღინიშნებოდა.

მაინც რა იყო საზეიმო, რას შევტრფოდით, რას შევხაროდით? ხელისუფლების სათავეში მდგომი ბოლშევიკ-კომუნისტები ჭეყანას არწმუნებდნენ, რომ ამ დღეს დაიწყო თავისუფალი და განახლებული საქართველოს წელთაღრიცხვა, დიადი კომუნისტური აღმშენებლობის საოცნებო ხანა, რომელმაც უზრუნველი, საამური და ბედნიერი ცხოვრება დაგვიმკვიდრა. ისე ამის მთქმელს და დამჯერეს აუშენდეს ოჯახი, ჩვენ რომ ახლა საამო და უზრუნველი ცხოვრება გვაქვს, მაგრამ რაც იყო იყო, — ესეც ჩვენი წარსულის ნაწილია და მას ისტორიიდან ვეღარ ამოშლი.

სამწუხაროდ, ისტორიული შეხსენება სხვა არა ერთ შეუსაბამობასაც იტევს. მაგალითად: XI არმიის „მკლევარი-ისტორიკოსი“ მ. ტრასკუნოვი წიგნში „საბრძოლო თანამგზავრობის სახელოვანი ფურცლები“ (თბილისი, 1962 წ.) წერს რომ, რაც წითელი არმია 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში შემოვიდა „ქალაქში გაისმოდა სიმღერები, უკრავდა ორკესტრი, რუსთაველის პროსპექტის ახლოს გაჩერდა ერთ-ერთი ნაწილი. თავი მოიყარეს ქალაქის მცხოვრებლებმა. **ჩვენები მოვიდნენ! ჩვენები მოვიდნენ!** გაისმოდა ყველგან“ (გვ. 129) (ხაზი ჩემია, — ო. ჯ.).

მადლობა ღმერთს, უკვე მესამე წელია 25 თებერვალს აღარ ვზეიმობთ, მაგრამ ის „ჩვენები“, საამწუხაროდ, ჯერ ისევ ჩვენთან არიან და, რამდენადაც ვიცი, აქედან ფეხის მოცვლასაც არ აპირებენ. ამიტომ ურიგო არ იქნება, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, როგორ და რისთვის შემოვიდნენ საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარები და გავარკვიოთ — რამდენად ჩვენები არიან ისინი.

რუსეთის წითელი არმიის შემოჭრის მომენტში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰყავდა თავისი კანონიერი ხელისუფლება — მრავალპარტიულ არჩევნებში პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრით არჩეული, ხალხის ნების გამომხატველი დამფუძნებელი კრება და კრების მიერ დანიშნული მთავრობა. მიუხედავად ეკონომიკურ სფეროში არსებული სიძნელეებისა, საქართველოში შენდებოდა სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფოებრიობა და ქართველი ერიც მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა შორის იმკვიდრებდა ადგილს. საქართველო ევროპული განვითარების ნორმალურ კალაპოტში დგებოდა. ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგურა, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო ხელისუფლებისადმი ნდობით იყო განწყობილი, რევოლუციური გადატრიალების მოსაწყობად აღირავითარი საფუძველი არ არსებულა. საქართველოში შემოჭრილ საბჭოთა ჯარებს, როგორც თვითონ ირწმუნებოდნენ, „მეწშევიკთა ბატონობისაგან განაწამები მუშებისა და გლეხების გათავისუფლება“ კი არ ამოძრავებდათ, — მათ მიზანს იმპერიის მარწუხებისაგან თავდახსნილი საქართველოს კვლავ დაპყრობა და რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცევა შეადგენდა.

რაც შეეხება იმ ქართველ ბოლშევიკებს, რომლებმაც აქტიურად შეუწყვეს ხელი რუსეთს საქართველოს ხელახლა დაპრყობაში, — მათ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ჯერ კიდევ 1921 წლის 21 თებერვალს გამოუტანა განაჩენი, როდესაც ისინი ქართველი ერის მოღალატეებად გამოაცხადა. გამარჯვებულმა კომუნისტებმა ეს განაჩენი საგულდაგულოდ დამალეს, მაგრამ „არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება“, — ხალხმა ყველაფერი შეიტყო. საქართველოს რევკომის წევრთა სახელები წყვეთილ ინსენიება და, ცნობილი ლექსის პერიფრაზს რომ მიკმაროთ, ჩემთვის დღესავით ცნობილ ნათელი, რას იტყვის მათზე შთამომავლობა.

ამ ადამიანებისათვის კი, ვინც დამოუკიდებელ საქართველოში იცხოვრა და თავისუფლებაწართმეული სამშობლო იხილა, ყველაფერი იმთავითვე ნათელი იყო. საილუსტრაციოდ მოვუსმინოთ რამდენიმე მათგანს.

ქართველი ემიგრანტი მიშა ლაშქარაშვილი იგონებს: „**ფამშეულ და ფეხზეშეველი მე-11 არმიით შემოსულმა რუსებმა თან მოიყოლეს ჭარბოსანი მოდალატეების მარქსისტული ჯგუფი ფილიპე მახარაძის მეთაურობით. აქედან იწყება კაცობრიობის დამაქცევარი ქმედება: ძმათა მკვლელობა, ყოველგვარი სიყალბე, მთელი არსებული კულტურის განადგურება**“ („რესპუბლიკა“, 1991, წ., 6 იანვარი).

ცნობილი სწავლული ზურაბ ავალიშვილი შემდეგნაირად გადმოგვცემს წითელი არმიის ნაწილების შემოჭრას: „**25 თებერვალს 1921 წ., საბჭოთა ჯარები შედიოდნენ თბილისში; წინ მიუძღოდა წითელი ბაირაღით ხელში, თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთი ქართველი კომისართაგანი, ღახ გვერდით უხილავთ მოპყვებოდა, გაძვალტყავებული ჯახრიაკი, ძონძებში გახვეული ჩონჩხი და ტანსაცმლიანებულ თოფებში ეჭირა ნგრევის ცელი**“ (ს. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925 წ., გვ. 381-382).

პოეტმა კოლაუ ნადირაძემ, საკუთარი თვალით რომ იხილა დაუცველად მიტოვებულ თბილისში მტრის ჯარების შემოსვლა, ლექსში — „25 თებერვალი, 1921 წელი“ — ასე აღწერა ნანახი:

„თოვდა და თბილისს ებურა
თახლი,
დუმდა ხიონი და დუმდა ხალხი.
. . . . . .
წითელი დროშით, მოღერილ
ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით
ნელით
შემოდიოდა ხიკვდილი ცელით“.

(იხ. „პოეტის ათასი სტრაქონი“, თბ., 1985 წ., გვ. 295).

შეიძლება კაცმა დაიჯეროს, რომ ჩვენები ნგრევისა და სიკვდილის ცელით. შემოვიდნენ საქართველოში? არა, და არა! არც წინამძღოლი ქართველი კომისარი და არც უკან მომყოლი რუსი წითელარმიელები არ ყოფილან ჩვენები. ისინი სამშობლოს უარმყოფელი მარქსისტული იდეოლოგიით გაბანგული, კოსმოპოლიტი საბჭოთა დამპყრობლები იყვნენ.

ახალი, უცხო ძალის შემოჭრამ ჩვენში არა მარტო ეროვნული სახელმწიფოებრიობის ნგრევა გამოიწვია, რასაც თან ახლდა დიდძალი მსხვერპლი, არამედ სულიერი უძრაობა და დეპრესიაც, რამაც პოეტური სიტყვაც კი დაადაბუნა.

საყოველთაო ჭეშმარიტებაა, ყველაზე უკეთ პოეტი შეიგრძნობს როგორც დროის მაჯისცემას, ისე ცხოვრების ცვალებადობას. აი, ოციანი წლების ქართული პოეტური შემოქმედების რამდენიმე ნიმუში, სადაც ძალუმად იგრძნობა ეპოქის სუნთქვა:

„ყველას გადაგვეტანს ხიკვდილი
მალე
ახე დატრიალდა ბოროტი
ხაჭანელა.
. . . . . .
ჩვენ უფრო უარესი დრო
მოგვწია
რადგან ჩვენ თვალწინ ლექსი
დამბდა“.

ეს ტიციან ტაბიძეა. ლექსი 1922 წლის 25 სექტემბრით თარიღდება (იხ. „ბახტრიონი“, 1922 წ., 9 ოქტომბერი). საქართველოს თავისუფლების დაკარგვიდან ჯერ მხოლოდ ერთი წელი და 7 თვეა გასული.

„დღეები წელს და დღეები
შარშან
მგვანან კუბოებს და
კათაფალკებს“, —

დაწერს 1923 წელს ილო მოსაშვილი ლექსში, რომელსაც „დღეები კუბოებით“ დაარქმევს (იხ. „ივერია“, 1923 წ., 11 ნოემბერი). ! სულ დატყვევებული პოეტი შალვა კარმელი საპყრობილედ ქცეულ სამშობლოდან გაქცევას ლამობს და ფრთებს დაეძებს. ეს მისი სიტყვებია: **„ხად არის ფრთები, რომ ავცდე ბორკილს“** („ბახტრიონი“, 1922 წ., 16 ოქტომბერი).

თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეილდლუპული და სამშობლოს ბედით შეპირვებული მხცოვანი პოეტი კოტე მაყაშვილი მწარედ ამოიკვნესებს: **„თებერვალმა ხამუდამოდ დამიზამთრა მაისი“**.

რამ დაუობათ პოეტებს ლექსი? ვინ **დაადოთ** ხუნდი და ვინ დაუზამთრათ მაისი? ვინ დააშვავსა დღეები კუბოებსა და კათაფალკებს? ჩვენებმა?!

უფრო ახლოს გავეცნოთ „ჩვენებს“. მასში ხომ რუსეთის წითელარმიელები იგულისხმებიან.

ვიდრე საქართველოში შემოიჭრებოდნენ, რუსეთის ჯარებმა ჯერ აზერბაიჯანი დაიკავეს და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. თვითმხილველი გვაამბობს:

„აზერბაიჯანში მყოფი ჯარი ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს, ჩაუცმელია, მოუვლელი, დამშეული... აზერბაიჯანში მოყოლილ მოსამსახურეებში შიგა და შიგ ქართველი ბოლშევიკებიც ყოფილან, მაგრამ თავის თვალით რომ დაუნახიათ, თუ რას წარმოადგენდნენ ბოლშევიკები, უთქვამთ: ღმერთმა დაგვიფაროს ამათგანაო და ხაჭართველოში აზრშეცვლილნი დაბრუნებულან“ („სახალხო საქმე“, 1920 წ., 28 მაისი).

სხვა პიროვნება, რომელმაც ცოტა ხანს კიდევ დაჰყო გასაბჭოებულ აზერბაიჯანში, გვიშოწმებს: **„ხაბჭოთა ჯარის შემოხვლასთან ერთად ბაქოში გაჭრა სურსათი, ნაწილი გატანილ იქნა რუსეთში, ნაწილს კი რეკვიზიცია უყვეს ჯარის ხაჭიროებისათვის... ბაქოში შეხულმა ნაწილებმა დაიტაცეს 25 ათასი წყვილი იტალიური ტანსაცმელი“** („საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, 10 იანვარი).

გგონიათ საქართველო დაინდეს?

„რუსები შემოიჭრნენ თუ არა, მათ დაიწყეს რუსეთში გაზიდვა პურის, ხამინდის, ხაკლავის, მატყლის, ღვინის, ხილის და სხვა ხანოვაგეების... 25 თებერვლის კატასტროფის პირველი დღიდანვე მშიერმა რუსეთმა დაბეგრა საქართველოს მცხოვრებლები... მარტო შირაქში 4880 ფუთი ხორბალი შეაწერეს“ („რესპუბლიკა“, 1991 წ., 5 თებერვალი).

სხვისი ქონების მითვისება, ძარცვა, გლეჯა, მაროდიორობა და სპეკულაცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო საბჭოთა ჯარისკაცთა შორის. აი, რას ეკითხულობთ საქართველოში შემოჭრის ორი თვის თავზე, 1921 წლის 28 აპრილს გამოცემულ ბრძანებაში თბილისისა და მისი რაიონის გარნიზონისადმი: **„იყო შემთხვევა, რომ ავლაბრის ბაზარზე ზოგიერთი შეგნებული წითელი არმიელები ჰყიდდნენ ტანისამოსს, რომლებიც მიცემული ჰქონდათ ჩასაცმელად და რომლებიც ირიცხებოდა მათ სახელზე...**

როგორც წითელი არმიელი, რომელიც ჰყიდდს მისთვის მიცემულ ტანისამოსს, ისე მისი შემსყიდველი მოქალაქე, არის მტერი რევოლუციისა და დასჯილ იქნება რევოლუციური კანონის მთელი სიხასტიკით“... ბრძანებას ხელს აწერენ გარნიზონის უფროსი მელნიკოვი, კომისარი ლარიჩკინი და კომენდანტი აბაშიძე („წითელი მხედარი“, 1921 წ., 15 მაისი).

არც საბელმწიფო დაწესებულებებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სახლების გადაწვა ყოფილა უცხო ახალ საბჭოთა დამპყრობელთათვის. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში იუმორისტულ ჟურნალ „უუმბარას“, რომელიც 1921 წლის პირველ ნომერში სიმწრით ხუმრობდა: **„ტფილისის ხამაზრო რევკომი იწვევს დახელოვნებულ ცეცხლის წამკიდებლებს ახალ ბინის გაკეთებისაკენ. ჯილდოთ მიეცემათ რაც მის ხაწყობში ხურხათ-ხანაგაგე მოიძებნებით“.**

უფრო ახლოს გავეცნოთ „ჩვენებს“. ... „ჩვენებს“. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტიც, გაზეთის ცნობით, თურმე ოპერის თეატრში შეკრებილი თბილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გაერთიანებული პლენუმის მონაწილეები ამ გულშემზარავ ამბავს „ხარხარით იმღერდნენ“ („კომუნისტი“, 1922 წ., 1 ივნისი).

საზოგადოებრივი აზრის გაუვნებლობა ოდენ ივნორირებით შეუძლებელი იყო, მით უფრო, რომ საქართველოში საბჭოთა ჯარების შემოჭრა დასავლეთშიც შეფასებულ იქნა, როგორც სუვერენული ქვეყნის ოკუპაცია, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა. ამიტომ დამპყრობლებიც და მის დამქაში ქართველი ბოლშევიკები კონტრაგიტაციას შეუდგნენ.

„ლაპარაკი ოკუპაციაზე შეუძლებელია, ვინაიდან წითელი ჯარი არ არის კონვლომერატი რომელიმე განკერძოებული ერისა, არამედ ის არის მილიანი ინტერნაციონალური მუშათა და გლეხთა შეიარაღებული ძალა, რომელიც ხიშტით ხელში იცავს თავის უფლებას“, — ამტკიცებდა წითელი ჯარის მეთაური ეგოროვი საქართველოს ცაკის სესიაზე გამოსვლისას („კომუნისტი“, 1922 წ., 8 ივნისი). ასეთი „რკინისებურა“ ლოგიკა გაჩნდა როდიონოვის წინამორბედ სარდალს, მაგრამ დამატებითი შეკითხვით, — თუ რა უფლების დაცვაზე იყო ლაპარაკი, გენერალი არავის შეუწუხებია.

მაინც რისთვის მოვიდა წითელი არმია საქართველოში? მოვუსმინოთ გაზეთ „წითელ მხედარს“, რომელმაც 1921 წლის 1 მაისს თავის ფურცლებზე უპასუხა ზუსტად ამგვარ კითხვას:

„...რათ შემოვიდა საქართველოში წითელი არმია? ხან გულუბრყვილოდ და ხან ბოროტად მკითხულობენ როგორც რუსი „ოხვალტელები“, ისე უზნეოდ ფიცები და ხაფეკო ქართველი პატრიოტები: და მაინცვე უპასუხებენ პირველნი: ალბათ იგი იმიტომ მოვიდა, რომ კვლავ შეუერთონ რუსეთს ბაკან ჩამოშორებული საქართველო.

მეორენი აბრალებენ და ფარულად გულში მფიქრობენ ამავეს. ხოლო თუ ასეთი განზრახვა არა, — განაგრძობს მრავალი რუსი — მაშინ ამაოდ დაღვრილა რუსეთის მხედრობის სისხლი თბილისთან, ქუთაისთან და სურამთან, და ამ შემთხვევაში რუსეთის არმიის ყოფნაც ზედმეტია. საბჭოთა საქართველოს მტრები სიცარულით ეძღაუბენიან აზრს, რომ რუსეთის წითელი არმიის კვლავ საქართველოში დარჩენა მართლაც სრულად არაა საჭირო თუ ამისთვის არა, რომ ბოლეკების საშუალებით გამაგრონ საქართველოს ხალხის ხურჯლის წინააღმდეგ კომუნისტების ძალაუფლება.

..მოვიდა რა საქართველოში რუსეთის წითელი არმია და დაუკავშირდა რა ქართველ მშრომელ ხალხს, ამით მან შექმნა ახალი დასაყრდნობი პუნქტი პროლეტარულ თავისუფლებისა, რათა გამაგრდეს და დაუკავშირდეს აღმოსავლეთის მშრომელ ხალხს და მით დაამხოს საერთაშორისო კაპიტალის ბატონობა“. (ხაზი ჩემია, — ო. ჯ.).

საქართველოში უკვე კარგა ხანია აღარ არის კომუნისტების ძალაუფლება, დამშეული საბჭოეთი კი ახლა უსირცხვილოდ საკმელ-სასმელს თხოვს იმათ, ვისაც უწინ მუშტს უღერებდა. ფიქრი „საერთაშორისო კაპიტალის“ დამხობაზე დღეს უაზრობად ითქცა.

მაშ რაღას უდგანან საბჭოთა არმიის ნაწილები საქართველოში? რა, მართლა ჩვენებად მიაჩნიათ თავი?

ოთარ ჯანელიძე

წერილები „ახალგაზრდა ივერიელს“

ღრმად პატივცემულო ბატონებო!

მე სავსებით ვეთანხმები, ვიზიარებ და ყოველ თქვენ სიტყვაზე, რაც კი სტატიაში „ჩვენი მოსაზრებანი“ (9 თებერვალი) გამოთქმულია, ხელს ვაწერთ დიდი სიამოვნებით. მაშ თუ ასეა, რაღად ავიღე კალამი ხელში, რაღად გაწუხებთ? მხოლოდ იმიტომ, რომ მივმართო თქვენი გაზეთის საშუალებით ჩემს აღზრდილთ (ამ 21 წლის განმავლობაში, რაც მე დავბრუნდი საქართველოში, უამრავმა ექიმმა გაიარა ჩვენს კათედრაზე სწავლების კურსი), ჩემს პაციენტებს (მათი რიცხვიც ამ ოც წელიწადში დიდი იქნება) და ბოლოს ჩემს თანამოსაქმეებს — ექიმებს, ექთნებს, მესანთუმლეებს, საავადმყოფოთა სხვა მსახურთ და აგრეთვე ყველას, ვისაც ვიცნობ და მიცნობს, ვისიც მე მჯერა და ვისაც ჩემი დაეჯერება.

დღეს ყოყმანისა და გვერდზე დგომის დრო აღარ არის. შეიქმნა თავისუფლებისა და ეროვნული აღორძინების დაუძინებელ მტერთა უწყვეტი კავშირი ბრესტიდან ვლადივოსტოკამდე და არხანგელსკიდან კუშკამდე მოსკოვის გავლით. საქართველო და ბალტიისპირეთი გამორჩეულ, პირველი რიგის მსხვერპლად ჰყავთ მიზანში ამოღებული კომპარტიის ხელმძღვანელობას გორბაჩოვიდან პოლოზკოვამდე. ლენინ-სტალინისეული სიცრუის, ვერაგობის და მუზმუზელობის პროპაგანდისტული ჯოჯოხეთური მანქანა ტელეპროგრამა „ვრემიას“ მეთაურობით გვგესლავს და გვწამლავს, ეძებს ყოველ ხელსაყრელ საბაბს ჩვენი განადგურების „იდეოლოგიურად“ მომზადებისათვის.

ამიტომ ვთხოვ მათ, ვინც მიმართვაშია მოხსენიებული, და ყველას, ვისაც თავისი თავი მოლალატედ არ მიაჩნია, დაბეჭითებით წაიკითხოს, ჩაუფიქრდეს, კიდევ გადაიკითხოს სტატია „ჩვენი მოსაზრებანი“ თქვენი გაზეთის 9 თებერვლის ნომერში, რათა დაინახოს უდიდესი საფრთხე, რასაც საქართველოს უქმნის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებული მოთხოვნები და ის აქციები, რასაც იგი გეგმავს. ეს მით უმეტეს აუცილებელია, რომ ბოლო აბზაცში ამ პარტიის პრესცენტრი გამოთქვამს იმედს, რომ მათ მხარს დაუჭერს ნებისმიერი ქართველი პატრიოტი.

არა, „ბატონებო, არა, შეგობრებო! არა, დებო, ძმებო, შვილებო და შვილიშვილებო! არამც თუ პატრიოტს, უბრალოდ, ადამიანს, ვისაც არ სურს დაღუპოს თავისი ქვეყანა, მთლიანად დაანგრიოს მისი ისედაც მოშლილი ეკონომიკა და იგი კვლავ იმპერიას მიუგდოს საჭიჭანად, არ შეუძლია მხარი დაუჭიროს რომელიმე იქ მოტანილ 5 მოთხოვნას, რადგან ყველა მათგანი საზიანოა ჩვენთვის, განსაკუთრებით მეხუთე მოთხოვნა — რუსეთთან (ელცინის რუსეთთან!) ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის შესახებ. არ არის აუცილებელი გულთმისნობა, რომ აშკარად დავინახოთ, ეს მიმართულია არა რუსეთის ან ჩვენი დაუძინებელი მტრის — საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ (ამით მათ არაფერი დაუშავდებათ!), არამედ საქართველოს დასაღუპავად.

„როგორ“-ო, იკითხავენ შეურაცხყოფილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი და მისი თანამოაზრენი, ჩვენ საქართველოს დაღუპვა გვინდაო?

არა, ბატონებო, თქვენ თანახმა ხართ საქართველო არ დაიღუპოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ახლანდელი ხელისუფლება (ხალხისაგან ერთხმად არჩეული, ერთხმად, თუ გამოვაკლებთ კომუნისტურ პარტიასა და ზოგიერთ გადამთიელს) იქნება დამხობილი. მე ვერ დავიჯერებ, რომ არ გესმოდეთ არამც თუ საყოველთაო გაფიცვის (რისკენაც თქვენ მოუწოდებთ ხოლმე), არამედ რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის დამღუპველობაც. მეტსაც გეტყვით, მე იმდენად დიდი წარმოდგენისა ვარ თქვენზე, რომ მგონია (დარწმუნებულიც ვარ), თქვენ რომ იყოთ რესპუბლიკის სათავეში, შემოიღებდით პრეფექტურასაც (რამეთუ მუნიციპალიტეტთან ერთად, ეს ანეიტრალებს მაფიას, რაც ადგილზე ადვილად შეიკვრება ხოლმე), და რეფერენდუმსაც ჩაატარებდით — თქვენს რეფერენდუმს, რადგან, მჯერა, დაგაინტერესებდათ თქვენი სამშობლოს ხალხის აზრი.

და კიდევ ერთი. ეს კი ეხება საქართველოს დამოუკიდებელ კომპარტიას. პარტია, რომელსაც ეკომაგება ტელეპროგრამა „ვრემია“, პარტია, რომელსაც 10 მილიონ მანეთს ურიცხავს სკკპ ცენტრალური კომიტეტი, არ შეიძლება იყოს არც დამოუკიდებელი და არც საქართველოსი. მე 38 წელი ვიყავი კომპარტიის წევრი და გამოვედი მაშინ (1990), როცა დავრწმუნდი მისი გარდაქმნისაკენ მისწრაფების სიყალბეში, როცა დავრწმუნდი, რომ ისინი, ვინც 9 აპრილის ხოცვა-ყლეტა მოაწყო, დღესაც დაუსჯელნი დადიან. ხოლო როდესაც კომპარტიამ მოაწყო სისხლიანი ზეიმი ლიტვასა და ლატვიაში, მივმართე ყველა იმ სამედიცინო კოლექტივს, სადაც მე მიხდება ყოფნა, არ დარჩენილიყო არც ერთი მათგანი კომპარტიის რიგებში. პარტიაში ჩემი ყოფნის უკანასკნელ 2 წელს არაერთხელ მივმართე ყველას (განსაკუთრებით ხელმძღვანელობას), დაუყოვნებლივ გამოვსულიყავით პარტიიდან და შეგვექმნა ახალი ეროვნულ-პატრიოტული პარტია (იხილეთ ჩემი გამოსვლები საბურთალოს და ვაკის პარტკონფერენციებზე და აგრეთვე ცენტრალურ კომიტეტში გამართულ XXVIII პარტყრილობის წინასაყრილობო თათბირზე), მაგრამ ამან დადებითი შედეგი არ გამოიღო და როგორც ახლა ვხედავთ, არც შეიძლებოდა გამოეღო.

დღეს საკითხი უკვე ასე დადგა: ან შენ ხარ კომუნისტი, ან შენი სამშობლოს პატიოსანი მოპირისპირეა. ეს ორი ცნება დღეს უკვე შეუთავსებელი გახდა, რამეთუ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დღეს არის იმპერიის და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ავანგარდი და ყველა ხალხის დაუძინებელი და სახიფათო მტერი. საქართველო უნდა იქცეს იმ ქვეყნად, სადაც აღარ იქნება არცერთი ამ დანაშაულებრივი პარტიის წევრი, ამ დისკრედიტირებული სახელის მატარებელი.

აკადემიკოსი
ვახტანგ ბოგორიშვილი.

●

ძვირფასო რედაქცია, სულით და გულით მოგესალმებით ივანოვოს ოლქიდან.

ამ წერილის დაწერა ერთმა გარემოებამ გადამაწყვეტინა. საქმე ის არის, რომ აქ, ივანოვოში, ჩემამდე მოვიდა ხმა იმის შესახებ, რომ ჩამოვდა საქართველოს წარმომადგენელი და ეძებს და ცდილობს საქართველოში გადაიყვანოს ის ქართველები, რომლებიც აქ სწავლობენ ან მუშაობენ.

ყოველ შემთხვევაში, პირადად არავინ მინახავს, მაგრამ მნახველებმა მითხრეს, რომ ივანოვოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში და პრიოვოლესკის რაიონულ ცენტრში (სადაც მე ვცხოვრობ და ვმუშაობ) შეხვედრიან იმ პიროვნებას, ამის შესახებ შეგატყობინეს საქართველოდანაც. უფრო მეტიც, საქართველოს ტელევიზიით ყოფილა გადაცემა, რომ საქართველო დაინტერესებულია ქართველების საქართველოში დაბრუნებით. ამ წინადადებამ ძალიან დამაინტერესა, რადგანაც ჩემი სურვილის გარეშე მოხდა ჩემი აქ ჩამოსვლა. ინსტიტუტის დამთავრება და ამჟამად ვმუშაობ ერთ-ერთ კოლმეურნეობაში მთავარ ზოოტექნიკოსად (ზოოინჟინერი ვარ).

უნდა ითქვას, კოლმეურნეობამ ჩემგან დიდი სარგებელი მიიღო. საგრძნობლად მოიმატა პროდუქტიულობამ და ბეგმებს საშუალოდ 130-135 პროცენტით ვასრულებ. ხოლო საქართველოში, ცხადია, შემიძლია მეტი სარგებლობა მოვუტანო ერსა და ქვეყანას.

ალბათ, დაგებადებათ კითხვა, თუ რა მიშლის ხელს უკან დაბრუნებაში. საქმე ის არის, რომ ინსტიტუტის დამთავრებამდე ორჯერ გაზლდით საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტში და ორჯერაც სიღნაღის აგროსამრეწველო გაერთიანებაში, ვითხოვდი, რომ გავენაწილებინე საქართველოში. ასეთი რამე კი ჩვეულებრივი მოვლენაა. სიღნაღში მიპასუხეს, მოგითხოვთ, მაგრამ რომ ჩამოხვალ, მერე ადგილსაც მოგვთხოვო; თბილისში მიპასუხეს, ჩვენ ჩვენი ინსტიტუტი გვაქვს და ის ყველაკმაყოფილებსო. ერთი სიტყვით, იმ დროს, ჩანს არავისთვის საჭირო არ ვიყავი. შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ამ ცვლილებებს კი ყოველთვის თქვენი გაზეთის საშუალებით ვიგებდი. ამ წლიდან კი არ ვიცი, რა ხდებოდა, გაზეთს აღარ მიწერენ....

რამდენიმე თვის წინ ჩემი პიროვნებით დაინტერესდნენ და გამაგზავნეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მაგრამ ზოგიერთი ხელმძღვანელი იმის შიშით, რომ დავიკავებდი მათ ადგილს, ყოველ მხრივ (ცდილობდა ხელის შეშლას და მომიხდა სწავლის მიტოვება. დამცველი კი არავინ მყავს. ყველა მიხეზის, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, სიტუაციის წარმოდგენა უფრო ადვილია. ამიტომ გადავწყვიტე დავბრუნდე საქართველოში, თუ შეიძლება და არ გამოიწვევს ეს თქვენთვის რაიმე სიძნელეს, შემატყობინეთ, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ის, რაც მოგწერეთ, და თუ სინამდვილეა, სად [illegible] [illegible] [illegible]

ᲠᲝᲚᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ ᲐᲠᲒᲝ

ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲡᲐᲛᲜᲘᲡᲝᲠᲘᲡᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲮᲐᲙᲕᲔᲚᲛᲫᲦᲕᲔᲚᲝᲑᲐ „ᲠᲝᲚᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ“ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲐᲠᲒᲝ“.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝ�თᲔᲙᲐ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲩᲝᲮᲐ ᲓᲐᲘᲮᲐ?

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢ ᲕᲐᲟᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲛᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲒᲔᲠ ᲣᲙᲕᲔ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ �გᲐᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘᲪ 40-ᲛᲓᲔ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲝᲓᲐ, ᲢᲐᲢᲐᲛᲖᲔ ᲕᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ, ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ, ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ, ᲛᲝᲜᲦᲝᲚᲔᲗᲘᲡ, ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ.

...ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲫᲘᲛᲔ (95 ᲙᲒ-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ) ᲬᲝᲜᲘᲗ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲞᲐᲠᲗᲖᲔ ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲕᲔᲡ. ᲐᲛ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲘᲚᲘᲐ ᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲗᲛᲝᲛᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡᲐ. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲮᲐᲑᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓᲐᲪ ᲒᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲓᲐᲖᲔᲓ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲮᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲐᲛᲓᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲛᲝᲘᲒᲝ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲭᲣᲚᲔᲑᲗᲘ, ᲘᲡᲘᲪ „ᲒᲐᲖᲐᲠᲗᲘᲗ“ ᲤᲠᲐᲜᲒ ᲞᲐᲢᲠᲘᲡ ᲠᲝᲜᲘᲔᲜᲗᲐᲜ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲣᲤᲚᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲖᲐᲖᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲡᲐᲜᲐᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲝᲜᲘᲗ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲖᲔ ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲓᲔᲗ, ᲘᲡᲔᲗ ᲒᲕᲜᲘᲚ ᲓᲐᲘᲣᲤᲚᲐ ᲞᲘᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲖᲐᲖᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲡᲐᲜᲐᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲝᲜᲘᲗ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲖᲔ ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲓᲔᲗ, ᲘᲡᲔᲗ ᲒᲕᲜᲘᲚ ᲓᲐᲘᲣᲤᲚᲐ ᲞᲘᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲖᲐᲖᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲑᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲭᲣᲚᲔᲑᲗᲘ, ᲘᲡᲘᲪ „ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲠᲛᲘᲛᲔ ᲕᲘᲢᲠᲘᲐᲚᲝᲗ. ᲮᲐᲑᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ — ᲝᲠᲛᲐᲒᲐᲓ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝᲐ, ᲘᲒᲘ ᲯᲔᲠ 20 ᲬᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐ ᲙᲘ ᲛᲐᲜ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ — ᲐᲯᲐᲙᲘ ᲙᲘᲑᲝᲠᲫᲐᲚᲘᲫᲔᲡᲐ�გᲐᲜ. ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲗ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲮᲐᲑᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲯᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚ ᲓᲐ ᲢᲘᲢᲣᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲡ... ᲓᲐ ᲐᲘ, ᲯᲐᲯᲐᲙᲘ ᲙᲘᲑᲝᲠᲫᲐᲚᲘᲫᲔ ᲔᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ ᲓᲘᲓ ᲡᲞᲝᲠᲢᲡ... ᲩᲕᲔᲜ ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲕᲣᲓᲒᲔᲗ ᲐᲯᲐᲙᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲔᲡ, ᲔᲠᲗᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ — ᲘᲒᲘ ᲐᲛ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲔᲥᲡᲬᲐᲡᲘ (!) ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ. ᲣᲛᲐᲠᲘᲐᲕᲘ ᲠᲘᲗᲘᲡᲔᲑᲘ, ᲡᲐᲭᲣᲥᲠᲘᲡᲔᲑᲘ — ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲯᲐᲙᲘ ᲙᲘᲑᲝᲠᲫᲐᲚᲘᲫᲔᲛ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ. ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲣᲠᲘ ᲫᲘᲓᲐᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲡ ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲘᲡ ᲔᲥᲕᲡᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲐᲯᲙᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲠᲐᲡᲘᲛᲔ ᲮᲐᲑᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲛᲑᲐ, ᲓᲐ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲐᲜ ᲐᲛ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ (ᲒᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ — ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ), ᲛᲘᲡᲘᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲩᲝᲮᲐ ᲓᲐᲘᲮᲐ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲡᲐ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲮᲐᲖᲘ ᲒᲐᲕᲣᲡᲕᲐ ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲚᲝᲛᲝᲗᲐᲫᲘᲡ, ᲗᲣ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲡᲔ ᲗᲥᲕᲐ, ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲩᲜᲓᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲠᲐᲡᲘᲛᲔ ᲮᲐᲑᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲛᲑᲐ, ᲓᲐ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲐᲜ ᲐᲛ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ (ᲒᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ — ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ), ᲛᲘᲡᲘᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲩᲝᲮᲐ ᲓᲐᲘᲮᲐ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲡᲐ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲮᲐᲖᲘ ᲒᲐᲕᲣᲡᲕᲐ ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲚᲝᲛᲝᲗᲐᲫᲘᲡ, ᲗᲣ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲡᲔ ᲗᲥᲕᲐ, ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲩᲜᲓᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲠᲐᲡᲘᲛᲔ ᲮᲐᲑᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲛᲑᲐ, ᲓᲐ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲐᲜ ᲐᲛ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ (ᲒᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ — ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ), ᲛᲘᲡᲘᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲩᲝᲮᲐ ᲓᲐᲘᲮᲐ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲡᲐ.

ᲚᲔᲚᲘᲪ ᲰᲧᲐᲕᲡ.

ᲡᲣᲚ ᲙᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲙᲠᲔᲓᲔᲒ ᲡᲐᲛ ᲬᲝᲜᲘᲗ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ: ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲒᲐᲢᲣᲠᲘᲐ (86 ᲙᲒ), ᲒᲘᲠᲡᲘᲛᲔ ᲮᲐᲑᲣᲚᲘᲐᲜᲘᲐ (65 ᲙᲒ) ᲓᲐ ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲚᲝᲛᲝᲗᲐᲫᲔ (60 ᲙᲒ). 86 ᲙᲒ ᲬᲝᲜᲘᲗ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲕᲐᲡᲘᲚ ᲝᲛᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲡ ᲓᲐᲛᲣᲙᲐ ᲛᲐᲖᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ (78 ᲙᲒ), ᲑᲐᲗᲝ ᲯᲘᲭᲣᲠᲘᲐ (71 ᲙᲒ), ᲑᲐᲓᲠᲘ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ (65 ᲙᲒ) ᲓᲐ ᲒᲣᲜᲓᲐ ᲙᲘᲭᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ (60 ᲙᲒ). ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲗᲐᲛᲑᲔᲗᲓᲐᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲐ, ᲗᲐᲜᲐᲪ, ᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲚᲔᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲝᲜᲐ�წᲚᲔ (**ᲯᲐᲛᲑᲐᲖᲘ ᲭᲘᲒᲝᲩᲘᲗ** — **Გ. Ტ.**)-ᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲘᲝᲓ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ, ᲠᲘᲗᲘᲪ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲪ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲭᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ? ᲐᲛᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲕᲘᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲒᲕᲪᲔᲛᲡ... ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝᲗ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲪᲮᲝᲚᲔᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲜ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲡᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲕᲘᲠᲪᲮᲕᲔᲗ? ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲐ, ᲩᲝᲮᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲮᲔᲕᲐ? ᲘᲛᲘᲓᲘᲐ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ. ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲯᲘᲣᲓᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘ — ᲯᲝᲠᲯ ᲯᲘᲭᲣᲠᲘ, ᲯᲝᲠᲯ ᲛᲐᲢᲝᲜᲔ, ᲞᲐᲡᲙᲐᲚ ᲢᲝᲠᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲙ ᲕᲔᲠᲘᲝᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡᲘᲡᲐᲪ ᲛᲝᲮᲕᲓᲜᲔᲚ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ ᲙᲘ ᲤᲣᲚᲚᲓᲐ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ. ᲬᲝᲜᲘᲗᲘ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ ᲒᲘᲐ ᲮᲝᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲚᲐᲒᲝᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲐᲙᲣᲠ ᲗᲣᲠᲘᲥᲐᲫᲔ, ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡᲚᲘᲡ ᲡᲝᲡᲝ ᲚᲝᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ᲐᲑᲔᲛᲢᲔᲚᲘ ᲕᲐᲡᲘᲚ ᲝᲛᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲨᲣᲠᲔᲚᲘ ᲕᲔᲤᲮᲘᲐ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲣᲪᲮᲝᲚᲔᲚᲘ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲓ, ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲛᲐ ᲝᲠᲘ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲛᲝᲘᲠᲗᲛᲔᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲨᲘ ᲗᲘᲗᲝᲗ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ.

ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲡ, ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲘᲛᲜᲐᲜᲘ ᲩᲝᲮᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲫᲚᲔ (95 ᲙᲒ-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ) ᲬᲝᲜᲘᲗ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲠᲙᲕᲐᲚᲐᲫᲔ. ᲛᲔᲝᲠᲔ — **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ — **ᲯᲐᲜᲢᲐᲜᲒ ᲓᲝᲜᲚᲐᲫᲔ**.

80 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲖᲔᲕᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ **ᲖᲣᲑᲐᲠ ᲭᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ**, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ — **ᲯᲐᲜᲢᲐᲜᲒ ᲓᲝᲜᲚᲐᲫᲔᲡ**.

80 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲖᲔᲕᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ **ᲖᲣᲑᲐᲠ ᲭᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ**, ᲛᲔᲝᲠᲔ — **ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲑᲘᲬᲘᲐᲫᲔ**, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ — **ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲑᲘᲬᲘᲐᲫᲔ**.

ᲐᲥᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲙᲣᲨᲘᲜ ᲙᲐᲠᲐᲢᲔᲡ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲔᲚᲗᲐᲜ, ᲙᲐᲜᲩᲘᲠ ᲛᲐᲡᲣᲢᲐᲪᲣ ᲝᲘᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲘᲝᲙᲣᲨᲘᲜ ᲙᲐᲠᲐᲢᲔᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲔᲚᲗᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲘᲝᲙᲣᲨᲘᲜ ᲙᲐᲠᲐᲢᲔᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ. ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲘᲝᲙᲣᲨᲘᲜ ᲙᲐᲠᲐᲢᲔᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲔᲚᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲘᲝᲙᲣᲨᲘᲜ ᲙᲐᲠᲐᲢᲔᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪ